ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪ. ᲡᲐᲑᲭ. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1933 წ. მარტის 31. № 6 ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

სახელმწიფო წყობილება

82. საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის მშენებელი კომიტეტის—საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მშენებელ კომიტეტად გადარქმევისა, საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის ამგები სახელმწიფო კონტორის—საქართველოს სსრ მთავრობის სახლის სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოდ გადარქმევისა და ამ ორგანოების დებულების შეცვლის შესახებ.

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა.

83. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1933 წელს განსახორციელებელი მშენებლობის დაფინანსებისა და მომარაგების წესის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

84. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მზადების შესახებ.

85. ტრაქტორების ექსპლოატაციის დროს ნავთის პროდუქტების ეკონომიისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

86. ტყის დამზადების და გამოტანის გეგმისა და ამ გეგმის აღსრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

87. მასწავლებლებისა და მათი ოჯახების მომარაგების თაობაზე გამოცემული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის სექტემბრის 5-ის დადგენილების საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი.

88. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის ქალაქებსა და სოფლებში 1933 წელს გამოსაღების ჩატარების შესახებ.

89. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, ქ. ტფილისში არსებული, საჩვენებელი სამკურნალო-საშრომო დისპანსერის საწარმოთა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

განათლება.

90. კულტურული მშენებლობის საბჭოების დებულების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

91. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სამალარიო კომიტეტის მოხსენების გამო—მალარიასთან ბრძოლის საქმის მდგომარეობის შესახებ.

სისხლის სამართალი.

92. სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის სათვის მე-3 ნაწილის დამატების შესახებ.

93. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წესებილება

82. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის მშენებელი კომიტეტის—საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მშენებელ კომიტეტად გადარქმევისა, საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის ამგები სახელმწიფო კონტორის—საქართველოს სსრ მთავრობის სახლის სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოდ გადარქმევისა და ამ ორგანოების დებულებების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

გადარქმეულ იქნეს საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის მშენებელი კომიტეტი საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მშენებელ კომიტეტად, ხოლო ამ კომიტეტთან არსებული სახელმწიფო სამშენებლო კონტორა—საქართველოს სსრ მთავრობის სახლის სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოდ.

II.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 10-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის მშენებლი კომიტეტის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 233) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ამ დებულების სათაურში და 1-ლ და მე-2 მუხლებში სიტყვები „საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის“ შეიცვალოს სიტყვებად „საქართველოს სსრ მთავრობის სახლის“;

ბ) აღნიშნულ დებულებას დაემატოს 3[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„3[1]. კომიტეტს შეუძლიან მოაწყოს თავისთან სათათბირო ორგანო ტექნიკური ექსპერტიზისა და კონსულტაციისათვის მშენებლობის იმ ძირითად საკითხებზე, რაც მისი, კომიტეტის, გადასაწყვეტია“.

III.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 10-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის ამგები სახელმწიფო კონტორის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 234) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ამ დებულების სათაურში და 1, 2, 3, 4, 5, 10, 11 და 12 მუხლებში სიტყვები: „საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის ამგები სამშენებლო სახელმწიფო კონტორა“, „სახელმწიფო სამშენებლო კონტორა“ და „კონტორა“ შეიცვალოს სიტყვებად: „საქართველოს სსრ მთავრობის სახლის სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო“;

ბ) ამ დებულების 1-ლ, მე-2, 5, 7, 8 და 10 მუხლებში სიტყვები „საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის მშენებლი კომიტეტი“ შეიცვალოს სიტყვებად: „საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მშენებლი კომიტეტი“;

გ) ამ დებულების მე-II, III და IV კარების სათაურებიდან ამოიშალოს სიტყვები „კონტორის“;

დ) აღნიშნული დებულების მე-6 და 9 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. სამუშაოთა სამმართველოს სათავეში დგას მშენებლობის უფროსი, რომელსაც ჰნიშნავს საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მშენებლი კომიტეტი.

მშენებლობის უფროსს ჰყავს იმავე წესით დანიშნული მოადგილენი: პირველი (იგივე მთავარი ინჟენერი) და მეორე—მომარაგებისა და საადმინისტრაციო-სამეურნეო საკითხებისათვის“.

„9. მთავარი ინჟენერი, არის-რა მშენებლობის უფროსის უახლოესი თანაშემწე, უწევს პასუხსაგებ ხელმძღვანელობას მშენებლობის მთელ ტექნიკურ ნაწილს, კერძოდ—განაგებს სამუშაოთა პროგრამისა და სქემატური და დეტალური ტექნიკური პროექტების შედგენის საქმეს, მეთვალყურეობას და ტექნიკურ ხელმძღვანელობას უწევს სამშენებლო სამუშაოებს და სხვა მისთ.“;

ე) აღნიშნული დებულების მე-9 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს;

ვ) მე-7 და 8 მუხლებში სიტყვები „კონტორის მმართველი“ შეიცვალოს სიტყვებად „მშენებლობის უფროსი“.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. თებერვლის 15.
ტფილისი.

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

83. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1933 წელს განსახორციელებელი მშენებლობის დაფინანსებისა და მომარაგების წესის შესახებ.

„მთავრობის დაუმტკიცებლად დაწყებულ მშენებლობათა დაფინანსებიდან და მომარაგებიდან მოხსნის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 დეკემბრის 22-ის თარიღისა და 1893 №-ის დადგენილების თანახმად და ამ დადგენილების განსავითარებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული 1933 წ. იანვრის 4-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

1. კატეგორიულად აეკრძალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე ყველა საკრედიტო დაწესებულებას და საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს და მის ადგილობრივ ფილიალებს მშენებლობის (სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, წყალსამეურნეო, საგზაო, კომუნალური, საბინაო, საკურორტო და სხვა არასამრეწველო) როგორც 1932 წლიდან გარდამავალი, ისე ახალი ობიექტების დაფინანსება, უკეთუ ეს ობიექტები შეტანილი არ არის მთავრობის სათანადო ორგანოების მიერ კანონით გათვალისწინებული წესისამებრ დამტკიცებულ სატიტულო სიებში.

ეს აკრძალვა ვრცელდება დაფინანსების ყველა წყაროზე: სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სოციალური დაზღვევის ორგანოების ბიუჯეტიდან, სპეციალური სახსრიდან, შინასაწარმოო დანაგროვიდან (საწარმოთა საკუთარი სახსარი), საკრედიტო სახსრიდან, მუშათა და მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან, პაების დანაგროვიდან და სხვა მისთ.

2. მოიხსნას ფონდირებული და ადგილობრივი საშენი მასალით მომარაგებიდან და აგრეთვე სასურსათო მომარაგებიდან ყველა ის მშენებლობა, რომელიც დაწყებულია მთავრობის სათანადო ორგანოების დაუმტკიცებლად.

პასუხისმგებლობა ამ ღონისძიების განხორციელებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საშენი მასალის განმანაწილებელ კომისიას და საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს— კუთვნილებისამებრ.

3. უწყებათა, დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელნი, რომელნიც შესაძლებელ ჰყოფენ ზემოაღნიშნულ გეგმა-გარეშე მშენებლობას, აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებებისა და მომარაგების ორგანოების ხელმძღვანელნი, რომელნიც ნებას დართავენ მშენებლობის გეგმა-გარეშე ობიექტების დაფინანსებას ან მომარაგებას, მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სასამართლო წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხ. და 118 მუხლის 1-ლი ნაწ. თანახმად.

სახელმწიფო პროკურატურის ორგანოები მოვალენი არიან თვალყური ადევნონ ამა დადგენილების ზედმიწევნით შეფარდებას და ყოველთვის პასუხისგებაში აძლიონ ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის წესით ამა დადგენილების დამრღვევი თანამდებობის პირნი.

II.

წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობას აწარმოებს (როგორც 1932 წლიდან გადატანილს, ისე ახალს), ამ მშენებლობის დაფინანსების წყაროს მიუხედავად, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატს და სხვა ცენტ-

რალურ დაწესებულებას (ქვემდებარეობისამებრ—კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვისა, მოწესრიგებისა და მეთვალყურეობის განხორციელების სფეროში) ცნობები ამ მშენებლობის ობიექტების შესახებ, სათანადო ორგანოების მიერ მშენებლობის ნებადართვის აქტებისა (მშენებლობის სატიტულო სიაში ობიექტების შეტანა), კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხისა და დაფინანსების წყაროების აღნიშვნით.

აღნიშნული ცნობები წარმოდგენილ უნდა იქნეს იმ მშენებლობის თაობაზე, რასაც აწარმოებენ ცენტრალური უწყებანი, დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები, და აგრეთვე ქ. ტფილისში წარმოებული, მშენებლობის შესახებ—არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 20-ისა, ხოლო იმ მშენებლობის თაობაზე, რასაც აწარმოებენ ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები (მათ შორის საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ქვემდებარენი)—არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 25-ისა.

III.

დროებით, ვიდრე დამტკიცებულ იქნებოდეს კანონი, რომლითაც მოწესრიგდება კომუნალური, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა არასამრეწველო მშენებლობის დაგეგმვა, დაპროექტება, დაფინანსება და წარმოება, დამყარებულ იქნეს ამ მშენებლობის ობიექტების დამტკიცების შემდეგი წესი:

1. განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი არასამრეწველო მშენებლობის ობიექტების სატიტულო სიებს ამტკიცებენ ამა კარის მე-2 მუხლში აღნიშნული ორგანოები—მშენებლობის სათანადო დარგებისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საკონტროლო ციფრებისა, დამტკიცებული საწარმოო-საფინანსო გეგმების და ხარჯთაღრიცხვებისა და აგრეთვე საკრედიტო გეგმების ფარგლებში.

2. ზემოაღნიშნულ სატიტულო სიებს ამტკიცებენ:

ა) ადგილობრივი ოპერატიული ქვემდებარეობის ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი მშენებლობის ობიექტებისა, რომელთა საერთო ღირებულება (ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება მთლიანად) 50.000 მან. არ აღემატება,—სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოები;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ოპერატიულად ქვემდებარე ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი მშენებლობის ობიექტებისა, რომელთა საერთო ღირებულება 300.000 მან. არ აღემატება,—საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების ოპერატიულად ქვემდებარე ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი მშენებლობის ობიექტებისა, რომელთა საერთო ღირებულება არ აღემატება: ქ. ტფილისში—300.000 მან., ხოლო სხვა ქალაქებში—200.000 მან.,—სათანადო საქალაქო საბჭოები;

დ) ყველა სხვა შემთხვევაში—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო—კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დასკვნისამებრ.

3. აიკრძალოს ზემოაღნიშნული წესით დამტკიცებულ სატიტულო სიებში შეტანილი მშენებლობის ობიექტების შეცვლა სამეურნეო წლის განმავლობაში.

დამტკიცებულ მშენებლობაში ყოველგვარი ცვლილების შეტანა სამეურნეო წლის განმავლობაში შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ამა კარის 1-ლი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული წესებისამებრ, ე. ი. სათანადო ცვლილება მშენებლობის ობიექტების სატიტულო სიებში შეიტანება იმ პირობით, რომ მისი დაფინანსება უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო ასიგნებით (საბიუჯეტო სახსრიდან, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვებით და სამრეწველო-საფინანსო გეგმებით გათვალისწინებული სახსრიდან, ან სპეციალური ბანკების საკრედიტო გეგმებით გათვალისწინებული სახსრიდან და სხვა მისთ.).

პასუხისმგებლობა ამ წესის აღსრულებისათვის ეკისრებათ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტებისა და საბჭოების თავმჯდომარეებს, უწყებებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებების ხელმძღვანელებს—ამა დადგენილების I-ლი კარის მე-3 მუხლით გათვალისწინებული წესის და ფარგლების თანახმად.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს და აგრეთვე განსაზოგადოებული სექტორის იმ რესპუბლიკანური და ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც საბინაო, კოოპერატიულ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა არასამრეწველო მშენებლობას ანხორციელებენ, იხმარონ, თავიანთი პირადი პასუხისმგებლობით, აღნიშნული მშენებლობისათვის დანიშნული ყველა სახსრის საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის სისტემაში სრული აკუმულაციისათვის—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 23-ის დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-17 №-ი, მუხ. 133).

5. მიენდოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—გამოსცეს, ფინანსთა სახალხო კომისარიტთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების მე-II კარის განხორციელების წესის შესახებ.

IV.

მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ყველა საჭირო

ლონისძიება, რაც გამომდინარეობს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1932 წ. დეკემბერის 22-ის და 1933 წ. იანვრის 4-ის, დადგენილებებიდან და აგრეთვე ამა დადგენილებიდან.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. თებერვლის 8.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 34 №-ში 1933 წ. თებერვლის 10.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

84. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ)ც.კ.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მზადების შესახებ.

I. საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის ტრაქტორების და მისაბმელი იარაღების რემონტის შესახებ.

1. სრულიად არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს ტრაქტორების და მისაბმელი იარაღების რემონტის მდგომარეობა, რაც საფრთხეს უქადის სასოფლო-სამეურნეო კამპანიას.

აღინიშნოს, რომ. ტრაქტოროცენტრი და საბჭოთა მეურნეობათა ტრესტი არ უწევენ ყოველდღიურ ოპერატიულ ხელმძღვანელობას ტრაქტორების და მისაბმელი იარაღების რემონტს. ამასთან ერთად აღინიშნოს ტრაქტორების და მისაბმელი იარაღების რემონტის ზუსტად დასაბუთებული, შემოწმებული გეგმების უქონლობა ცალკე სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების ხაზით და ტრაქტორების სრულიად არასწორად განაწილება სხვადასხვა სახის რემონტის მიხედვით (კაპიტალური, საშუალო, მიმდინარე რემონტი).

2. თვითეულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობაში ტრაქტორების და მისაბმელი იარაღების რემონტის გეგმების დასაზუსტებლად შეიქმნას ცალკე გაერთიანებებში კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

1) საქართველოს ტრაქტოროცენტრის სისტემა: ამხ. მათიკაშვილი (მომწვევი), ურუშაძე და ჭოლოკია.

2) საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტი: ამხ. ჯუხალეიშვილი (მომწვევი), მირზაბეკიანი და კრავცოვი.

3) საკ. გაერთიანება „საქართველოს ჩაი"-ს სისტემა: ამხ. ჯუღელი (მომწვევი), ბაქრაძე და სერგეევი.

4) საბჭოთა მეურნეობების ტრესტები: ტექნ.-სამკურნ. ნედლეული, საქ. რამი და ლიმმანტრესტი—ამხ. გოგია (მომწვევი), კანდელაკი, ... და კობიაშვილი.

5) ერბო-კარაქის ტრესტის და მეღორეობის ტრესტის სისტემა: ამხ. შაბანოვი (მომწვევი), ლ. ჯანჯღავა, გონაშვილი და ბესელია.

6) ცეკავშირის კოოპმეურნეობანი და სახპოლიტსამმართველოს სამეურნეო გაერთიანებანი: ამხ. ალ. მაისურაძე (მომწვევი), სავიცკი და აპრიამოვი.

7) საქაბრეშუმის სისტემა: ამხ. გვარამია (მომწვევი) და ელენტი.

8) აგარის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობა—ამხ. ქუჩულორია.

9) ყარაიას საბჭოთა მეურნეობა—ამხ. ნიორაძე.

10) მეცხენეობის ტრესტის სისტემა: ამხ. გვარამია (მომწვევი) და ჩხეიძე.

3. მიენდოს ამ კომისიებს:

I. დააწესონ თვითეულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურსა და საბჭოთა მეურნეობაში იმ ტრაქტორების და მისაბმელი იარაღების რაოდენობა, რომელთაც სჭირდებათ რემონტი.

II. განსაზღვრონ ტრაქტორების და მისაბმელი იარაღების რემონტიდან გამოშვების ზუსტი ვადები. თვითეულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურსა და საბჭოთა მეურნეობაში გამოყონ ისეთი პირები, რომელნიც პერსონალურად პასუხისმგებელი იქნებიან რემონტის მაღალი ხარისხისათვის და ტრაქტორების რემონტიდან დაწესებულ ვადაში გამოშვებისათვის.

III. განსაზღვრონ იმ სარემონტო მასალების და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების ზუსტი რაოდენობა, რომლებიც საჭიროა თვითეული სამანქანო-სატრაქტორო სადგურისა და საბჭოთა მეურნეობისათვის 1933 წლის პირველ ნახევარში, იმის აღნიშვნით, თუ რადარა სათადარიგო ნაწილი და რა მარკის ტრაქტორებისათვისაა საჭირო.

სარემონტო მასალების და სათადარიგო ნაწილების საჭირო რაოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღონ რეალური შესაძლებლობანი და უსასტიკესი ეკონომიის დაცვა მათი ხარჯვის დროს.

IV. შეამოწმონ და პირადი დათვალიერების გზით გამოარკვიონ იმ სარემონტო მასალების და სათადარიგო ნაწილების რაოდენობა, რომლებიც ინახება ტრაქტორების მქონე დაწესებულებათა საწყობებში.

გააფრთხილონ ტრაქტორცენტრის და საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხელმძღვანელები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირ ქტორები, რომ სარემონტო მასალების და სათადარიგო ნაწილების გადამალვის ან განიავებისათვის ისინი მიცემულ იქნებიან უსასტიკეს პარტიულ და სასამართლო პასუხისგებაში.

V. შეამოწმონ სარემონტო სახელოსნოების მდგომარეობა, ამასთან შეავსონ ისინი საჭირო კვალიფიციური მუშა-ხელით და დასახონ სხვა საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სარემონტო სახელოსნოების შეუფერ-

ხებლად მუშაობას თვითეულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურსა და საბჭოთა მეურნეობაში.

VI. მოაწყონ ყველა არსებულ სახელოსნოებთან მოძრავი სარემონტო ... ქროები ტრაქტორების და მისაბმელი იარაღების შესაკეთებლად მინდორში.

ყველა კომისიების მუშაობა დამთავრდეს 5 დღის ვადაში. თესვის კომიტეტმა 6 თებერვალს მოისმინოს კომისიების მოხსენებანი ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღების რემონტის დასაჩქარებლად მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

4. მიენდოს საქართველოს მიწსახკომს ამხ. მათიკაშვილს 5 დღის ვადაში გამოარკვიოს ის კოლმეურნეობანი, რომლებსაც აქვთ ტრაქტორები. განსაზღვროს—თუ კოლმეურნეობაში არსებული ტრაქტორებიდან რამდენი საჭიროებს რემონტს, მიამაგროს ეს ტრაქტორები რემონტისათვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოებზე და დანიშნოს აღნიშნული ტრაქტორების რემონტისათვის პერსონალურად პასუხისმგებელი პირნი.

5. წინადადება მიეცეს ყველა რაიკომების მდივნებს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, სახელმწიფო პოლიტსამმართველოს რაიონულ განყოფილებათა უფროსების მონაწილეობით, სამი დღის ვადაში შეამოწმონ სატრაქტორო პარკის და მისაბმელი იარაღების მდგომარეობა და მათი რემონტის მიმდინარეობა თვითეულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურსა და საბჭოთა მეურნეობაში, პირადი დათვალიერების გზით გამოარკვიონ იმ ტრაქტორების და მისაბმელი იარაღების ნამდვილი რაოდენობა, რომლებიც საჭიროებენ რემონტს, შეამოწმონ და გამოარკვიონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების საწყობებში არსებული სათადარიგო ნაწილების და სარემონტო მასალების რაოდენობა, ამასთან შემოიღონ მათი ხარჯვის წესი, უსასტიკესი ეკონომიის დაცვით.

შეამოწმონ სარემონტო სახელოსნოები და მოაწყონ მათი შეუფერხებელი მუშაობა და სარემონტო კამპანიის მთელი პერიოდისათვის დააწესონ სასტიკი კონტროლი და მეთვალყურეობა რემონტის ვადებსა და ხარისხზე. რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა 8 თებერვლისათვის აცნობონ თესვის კომიტეტს მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები.

6. მიენდოს კომისიას ამხ. მელაძის (მომწვევი), მათიკაშვილის, ბაქრაძის, ჩილაჩავას და სიხარულიძის შემადგენლობით დაუყოვნებლივ მოაწყოს და მიწსახკომის მოთხოვნით გაგზავნოს ტფილისიდან რაიონებში მუშათა სარემონტო ბრიგადების საჭირო რაოდენობა.

7. რემონტის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დადგენილ იქნეს, როგორც წესი, მიღება-ჩაბარების აქტების შედგენა შეკეთებული ტრაქტორის ყოველი მიღების დროს. მიღება აწარმოონ პირადად სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა და მექანიკოსებმა.

აქტებში აღინიშნოს იმ პირთა გვარები, რომლებიც აწარმოებენ რემონტს, ხოლო ჩატარებული რემონტის დაწუნების შემთხვევაში აღნიშნულ იქნეს კონკრეტული დამნაშავენი მათ პასუხისგებაში მისაცემად.

8. აეკრძალოს ყველა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ტრაქტორების დაწუნება და ყოველ ცალკე შემთხვევაში, როცა უვარგისია ტრაქტორი და შეუძლებელია მისი რემონტი, დაუყოვნებლივ აცნობონ საქართველოს ტრაქტოროცენტრს და მიწსახკომს ამის შესამოწმებლად და დასადასტურებლად.

9. მიენდოს კომისიას ამხ. მელაძის (მომწვევი), გოდაბრელიძის, გორიაჩევის, კლევცოვის (ქარხნის დირექტორი), სიტნიკოვის და გელაშვილის შემადგენლობით შეამოწმოს და უზრუნველყოს ტრაქტორების იმ სათადარიგო ნაწილების თავის დროზე დამზადება, რომლებიც დაკვეთილი აქვთ ადგილობრივ ქარხნებს; გამოარკვიოს სათადარიგო ნაწილების ადგილობრივ ქარხნებში დამზადების დამატებითი შესაძლებლობანი, ამასთან კონკრეტულად აღნიშნოს, თუ რა რაოდენობით შეიძლება სათადარიგო ნაწილების დამზადება ადგილობრივ ქარხნებში და რა ვადაში იქნება შესრულებული დაკვეთები.

დაწესდეს ქარხნების დირექტორების პერსონალური პასუხისმგებლობა ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების დამზადების საქმეში დაკისრებულ ვალდებულებათა ვადაზე შესრულებისათვის.

ამავე კომისიამ შეამოწმოს, თუ რამდენი სარემონტო მასალა და სათადარიგო ნაწილი მოიპოვება სოფლმეურმარაგის, საქმარაგგასაღების, საქმარაგრემონტის, ფოლადმარაგის და ფერადლითონმარაგის საწყობებში, ამასთან გამონახოს— დამატებითი შესაძლებლობანი სარემონტო კამპანიის უზრუნველსაყოფად სარემონტო მასალებით და სათადარიგო ნაწილებით.

10. მიენდოს ამხ. მათიკაშვილს წარუდგინოს 7 თებერვლისათვის თესვის კომიტეტს ცნობები—რა სათადარიგო ნაწილები და სარემონტო მასალები, რა რაოდენობით და როდის აქვთ დაკვეთილი საკავშირო ორგანოებს, რომელ ქარხნებშია კონკრეტულად განაწილებული ეს დაკვეთები, რამდენია უკვე მიღებული, რამდენია გამოგზავნილი, და ვინაა პერსონალურად პასუხისმგებელი აღნიშნული სათადარიგო ნაწილების და სარემონტო მასალების თავის დროზე შემოტანისათვის, აგრეთვე წარუდგინოს ცნობები მათი განაწილების შესახებ ცალკე სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და საბჭოთა მეურნეობებში.

11. ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების მწვავე ნაკლებობის გამო, დადგენილ იქნეს, როგორც წესი, რომ ნახმარ, შემდგომი მუშაობისათვის უვარგის სატრაქტორო ნაწილებს იწუნებენ პირადად სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და უფროსი მექანიკოსები, ამასთან თვითეულ შემთხვევაში შედგენილ უნდა იქნას აქტი დაწუნებული ნაწილების უვარგისობის მიზეზების აღნიშვნით.

წინადადება მიეცეს საქტრაქტოროცენტრს და საბჭოთა მეურნეობების ყველა გაერთიანებებს დააწესონ დაწუნებული ნაწილების სისტემატურად გასინჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა, ამასთან სასამართლო პასუხისგებაში მისცენ ისინი, ვინც დაიწუნებს საშუშაოდ გამოსადეგ ნაწილებს.

12. მიენდოს ამხ. ჟოჟიკაშვილს (მომწვევი), ქუჩულორიას, ნაფეტვარიძეს და ხუხუას 5 დღის ვადაში დაამუშავონ და თესვის კომიტეტს წარუდგინონ ღონისძიებანი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და სარემონტო სახელოსნოების მუშაკების მომარაგების გასაუმჯობესებლად ადგილებზე სარემონტო და საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდისათვის.

II. გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის საწვავი და საცხი მასალებით სატრაქტორო პარკის უზრუნველყოფილობის მესახებ.

1. მიენდოს კომისიას ამხ. აგრბას (თავმჯდ.), ტ. ლორთქიფანიძის, დეკანოზიშვილის, ანდრეევის (ა-კ. რკინისგზის დირექტორის მოადგილე), მირიანიშვილის (მიწსახკომი) და ჯორჯიკიას შემადგენლობით (საქსათბობი):

ა) შეამოწმოს და დააზუსტოს მიწსახკომის განაცხადი საწვავ და საცხ მასალებზე და უზრუნველყოს საწვავი და საცხი მასალების თავის დროზე შეტანა რაიონებში ისეთი რაოდენობით, რომელიც უზრუნველჰყოფს სატრაქტორო პარკის შეუფერხებლად მუშაობას;

ბ) გამოიმუშაოს ღონისძიებანი საწვავი და საცხი მასალების მაქსიმალური მომჭირნეობით ხარჯვისათვის, ამასთან დააწესოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, აგროუბნის გამგეების და ტრაქტორისტების უსასტიკესი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით საწვავი და საცხი მასალების ხარჯვის ნორმების დარღვევისა და ამ მასალების განიავებისათვის;

გ) დაწესდეს ტრაქტორისტების დაჯილდოება საწვავი და საცხი მასალების მომჭირნეობით ხარჯვისათვის დაწესებულ ნორმებთან შედარებით;

დ) დასახოს ღონისძიებანი და უზრუნველყოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობანი საჭირო ტარით ერთი თვის მარაგის თხევადი სათბობისათვის. ჩაატაროს ღონისძიებანი საცხი მასალებისა და მაზუთისათვის ცემენტის საცავების მოსაწყობად იმ ანგარიშით, რათა განთავისუფლდეს ამ მასალებით დაკავებული რკინის ტარა ნავთის და ბენზინის შესანახად;

ე) ამავე კომისიამ შეიმუშავოს ღონისძიებანი უსასტიკესი ეკონომიის დასაცავად ფართო მოხმარების საჭიროებისათვის ნავთის პროდუქტების ხარჯვაში, კერძოდ, შეიმუშავოს ღონისძიებანი მომხმარებლებისათვის ნავთის გაცემის საბარათო სისტემის შემოსაღებად.

კომისიამ განახორციელოს მუდმივი ოპერატიული ხელმძღვანელობა სატრაქტორო პარკის მომარაგებაზე საწვავი და საცხი მასალებით გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მთელი პერიოდის განმავლობაში.

III. კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის მიმდინარეობის შესახებ.

წინადადება მიეცეს ყველა რაიკომების მდივნებს და რაიაღმასკომების, სოფლის საბჭოების და კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს დაუყოვნებლივ შეამოწმონ პირადი დათვალიერების გზით წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მდგომარეობა თვითეულ კოლმეურნეობაში და თვითეულ სოფელში. გამოარკვიონ იმ ინვენტარის ზუსტი რაოდენობა, რომელიც რემონტს საჭიროებს, და მოაწყონ მისი რემონტი ადგილობრივი შინახელოსნებისა და საკოლმეურნეო სამჭედლოების მთელი ქსელის მაქსიმალური გამოყენების გზით, ამასთან დააწესონ რემონტის დამთავრების კალენდარული ვადები თვითეულ კოლმეურნეობაში და თვითეულ სოფელში.

დაეკისროს რაიკომების მდივნებს, რაიაღმასკომების, სოფლის საბჭოების, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს და ბრიგადირებს პერსონალური პასუხისმგებლობა წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის თავის დროზე და მთლიანად ჩატარებისათვის. დაევალოს საქართველოს მიწსახკომს სისტემატურად ადევნოს თვალყური კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის მიმდინარეობას.

IV. საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის ცოცხალი გამწევი ძალის მომზადების და საქონლის ხელუხლებელი საკვები ფონდების შექმნის შესახებ.

მიენდოს კომისიას ამხ. დეკანოზიშვილის (მომწვევი), გვარამიას, ბაქრაძის და ბერაძის შემადგენლობით 5 დღის ვადაში დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი მუშა-პირუტყვის სპეციალური მოვლის დასაწესებლად, აგრეთვე შეიმუშაოს ღონისძიებანი კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა უზრუნველსაყოფად ხელუხლებელი საკვები ფონდებით გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის.

V. გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საკითხებზე რაიონულ მუშაკთა რესპუბლიკანური თათბირის მოწვევის შესახებ.

მოწვეულ იქნას 15 თებერვლისათვის რაიკომების მდივნების, რაიმიწგანების გამგეების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა და საბჭოთა მეურნეობათა დირექტორების რესპუბლიკანური თათბირი საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხებზე.

თათბირზე მოსმენილ იქნეს მოხსენებანი ადგილებიდან გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

თათბირის ჩატარების ხელმძღვანელობა დაეკისროს თესვის კომიტეტს.

საქ. ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1933 წ. თებერვლის 5.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 31 №-ში 1933 წ. თებერვლის 6.

85. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ტრაქტორების ექსპლოატაციის დროს ნავთის პროდუქტების ეკონომიისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გამოყოფილ იქნეს თვითეულ სატრაქტორო მეურნეობაში პერსონალურად პასუხისმგებელი მომუშავე ნავთის პროდუქტებით მომარაგებისათვის და ამ პროდუქტების შენახვისა, გაცემისა და ხარჯვისათვის.

2. დამყარებულ იქნეს სატრაქტორო მეურნეობათათვის ნავთის პროდუქტების გაცემის შემდეგი წესი:

ა) როდესაც ტრაქტორები მუშაობენ ბრიგადულად (არა ნაკლებ 5 ტრაქტორისა), ნავთის პროდუქტები ეძლევა ბრიგადირს—მისი, ბრიგადასთან ერთად, პასუხმგებლობით სამანქანო-სატრაქტორო სადგურის თუ საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის წინაშე ნავთის პროდუქტების მიზნობრივი და ეკონომიური ხარჯვისათვის;

ბ) როდესაც ტრაქტორები მუშაობენ ცალ-ცალობით, ნავთის პროდუქტები ეძლევა უშუალოდ ტრაქტორისტს მისი ასეთივე პასუხისმგებლობით სამანქანო-სატრაქტორო სადგურის თუ საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის წინაშე.

3. დაევალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და საბჭოთა მეურნეობებს—მოამარაგონ თვითეული სატრაქტორო ბრიგადა ნავთის პროდუქტების აღრიცხვისათვის (ინდივიდუალური აღრიცხვა) საჭირო ხელსაწყოებით იმის გამოსარკვევად, არის თუ არა ტრაქტორის ბაკში კეროსინი (საზომი სახაზო).

4. წინადადება მიეცეს საქართველოს ტრაქტოროცენტრს—დაამყაროს ნავთის პროდუქტების ხარჯვის აღრიცხვის წესები და ფორმები, რაც უზრუნველჰყოფს სატრაქტორო აგრეგატის მიერ შესრულებული სამუშაოს აღრიცხვას როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად (სიღრმე, ფეთქვა და სხვ.) ნავთის პროდუქტების ეკონომიისა თუ გადამეტებით ხარჯვის თაობაზე ცნობების მისაღებად.

5. დაწესებულ იქნეს ბაზისიდან საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საწყობებისათვის ნავთის პროდუქტების დაპლომბილ ბოჩკებში მიწოდება.

წინადადება მიეცეს ტრაქტოროცენტრს და საბჭოთა მეურნეობებს—უზრუნველყონ თვითეული სატრაქტორო ბრიგადა (5—6 ტრაქტორი): ა) 13 რკინის ბოჩკით, ბ) 2-3 სასხმელით, გ) 2-3 ბადიანი ძაბრით, დ) ვედროთი და ე) 3 ტუმბოთი, ხოლო ტრაქტორების ცალ-ცალობით მუშაობის დროს—3 ბოჩკით, 2 სასხმელით, 2 ძაბრით და 1 ტუმბოთი თვითეული ტრაქტორი.

აიკრძალოს უამხელსაწყოდ ტრაქტორების გამართვა (ბოჩკიდან ვედროში გადასხმა და სხვა მისთ.)

6. სათბობი მასალის ეკონომიისა და ტრაქტორების გამართვის პროცესების რაციონალიზაციის მიზნით წინადადება მიეცეს ტრაქტოროცენტრს და საბ-

ჭოთა მეურნეობებს—იხმარონ ღონისძიებანი თანდათანობით ტრაქტორების მექანიზებულ გამართვაზე გადასვლისათვის.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს „ზერნოტრესტის" კონსტრუქციის ავტომატური საცობების შემოზიდვა ტრაქტოროცენტრის სისტემისათვის და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებისათვის.

7. დაწესებულ იქნეს, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირების პასუხმგებლობით, რომ მინდორში სატრაქტორო აგრეგატის გაჩერების დროს, რაც საჭიროებს გაჩერების მიზეზის თავიდან ასაცილებლად 5-10 წამზე მეტს დროს გორგოლიან ტრაქტორისათვის და 10-15 წამზე მეტს დროს მუხლუხური ტრაქტორისათვის,—მოტორი ჩახშობილ უნდა იქნეს, ხოლო სხვა შემთხვევაში მოტორი უნდა მუშაობდეს მცირე აირით.

აიკრალოს ტრაქტორების მუშაობა პირველი სიჩქარით.

8. შემოღებულ იქნეს ტრაქტორისტების დაპრემირება ნავთის პროდუქტების ეკონომიით ხარჯვისათვის სამრეწველო და სასურსათო საქონლით 100 მანეთამდე ღირებულების ფარგლებში, მიღებული ეკონომიის რაოდენობის მიხედვით.

9. უფლება მიეცეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს—დაადონ ხოლმე ტრაქტორისტებს სათბობი მასალის ზედმეტი ხარჯვისათვის ჯარიმა 100 მანეთამდე, ზედმეტი ხარჯის რაოდენობის მიხედვით.

ჯარიმით მიღებული თანხები შედის, როგორც დამატებითი წყარო, სამაგალითო ტრაქტორისტების დაპრემირების ფონდში.

მიენდოს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს—გამოსცეს, იუსტიციისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად, ინსტრუქცია ამა მუხლის შეფარდების წესის შესახებ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. **მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ს. **თოდრია.**

1932 წ. თებერვლის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 38 №-ში 1933 წ. თებერვლის 15.

ვაჭრობა. მომარაგება.

86. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

ტყის დამზადების და გამოტანის გეგმისა და ამ გეგმის აღსრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ტყის დამზადების და გამოტანის 1933 წ. და 1933 წლის პირველი კვარტალის ქვემომდევნო გეგმა (მჭიდროდ დაწყობილ ათას კუბ. მეტრობით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყის დამმზადებელი ორგანიზაციების სახელწოდება	დამზადება						გამოიტანა					
	1933 წლის გეგმა			აქედან 1-ლ კვარტალში			1933 წლის გეგმა			აქედან 1-ლ კვარტალში		
	საშეფაო ტყე	საშეფო ტყე	ს ე ულ ს	საშეფაო ტყე	საშეფო ტყე	ს ე ულ ს	საშეფაო ტყე	საშეფო ტყე	ს ე ულ ს	საშეფაო ტყე	საშეფო ტყე	ს ე ულ ს
საქტყის ტრესტი	241,8	168,7	410,5	93,0	80,4	173,4	349,5	149,7	499,2	73,9	39,7	113,6
აფხაზტყისტრესტი[1])	88,5	26,6	115,1	41,7	14,0	55,7	135,5	27,3	162,8	35,5	9,4	44,9
ა/კ. რკ. გზ. სატყეო განყ.	97,3	55,9	153,2	39,7	12,7	52,4	103,6	75,6	179.2	42,4	16,1	58,5
საკ. შთავ. საკურ. სამმართვ.	57,5	25,2	82,7	20,7	5,6	26,3	66,0	25,2	91,2	20,9	4,2	25,1
ს ე ულ	485,1	276,4	761,5	195,1	112,7	307,8	654,6	277,8	932,4	172,7	69,4	242,1

1) ამის გარდა აფხაზტყისტრესტის ხაზით — 200 ტონა ბზის დამზადება; აქედან 1-ლ კვარტალში — 100 ტონა.

2. აღნიშნოს, რომ ტყის დამზადებისა და გამოტანის გეგმის აღსრულება საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის ორგანიზაციებმა, გარდა ატენატყის ტრესტისა, შეასრულეს 1933 წლის იანვარში დიდი გარღვევით, სახელდობრ:

ორგანიზაციების სახელწოდება	იანვრის გეგმის აღსრულების %	
	დამზადება	გამოტანა
საქტყისტრესტი	44,3	43,9
საქართველოს მთავარი საკურ. სამმართვ.	78,9	80,8
საქართველოს სატყეო სარეწაო კავშირი	14,4	15,0
ა/კ. რკ. გზ. სატყეო განყ.	62,3	58,6
ს უ ლ	44,4	60,7

3. 1933 წლის 1-ლ კვარტალში ტყის დამზადებისა და გამოტანის გეგმის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით წინადადება მიეცეს სატყეო მრეწველობის ორგანიზაციებს—შეადგინონ, ზემოაღნიშნული საკვარტალო გეგმების საფუძველზე, ტყის დამზადებისა, გამოტანისა, წარმოებისა და საექსპორტოდ ჩაბარების სადეკადო გეგმები რაიონობით და სამი დღის ვადაზე მიაწოდონ ეს გეგმები თავიანთ საწარმოო ერთეულებს.

წინადადება მიეცეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) შეამოწმოს ამა დადგენილების აღსრულება.

4. აღინიშნოს, რომ სერიოზული განსხვავებაა დამზადებული მერქანის რაოდენობასა და ფაქტიურად გამოტანილი მერქანის რაოდენობას შორის, და რომ ტყეში ფრიად დიდი გარდამავალი ნარჩენია დამზადებული მერქანისა, რაც სატყეო მრეწველობის ორგანიზაციების დავალიანებისა და საფინანსო სიძნელეთა ძირითადი მიზეზია; ამიტომ წინადადება მიეცეს აღნიშნულ ორგანიზაციებს—სადეკადო და საკვარტალო ოპერატიული გეგმების დაყოფის �ოს მტკიცედ დაუკავშირონ დამზადებათა რაოდენობა პროექტირებულ გამოტანას და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ გამოტანის ორგანიზაციას და იმას, რომ საჭიროა მინიმუმამდე შემცირებულ იქნეს დამზადების ადგილებში გამოუტანელი მერქანის გარდამავალი ნარჩენი.

5. ტყის დამზადებისა და გამოტანის საქმეში სატყეო მრეწველობის ორგანიზაციებისათვის საერთო ხელმძღვანელობის და სისტემატური მეთვალყურეობის გასაწევად, ხელშესაწყობად და მათი მუშაობის გასაერთიანებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოწყობილ იქნეს ტყის დამზადების საქმეთა ცენტრალური კომისია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ბ. გოგიას თავმჯდომარეობით და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ამხ. ბ. [illegible] და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ს. [illegible] ზაბეკიანის შედგენილობით, ხოლო ტყის დამზადების რაიონებში—ცენტრალური კომისიის დირექტივებით და მინიშნებით მომქმედი კომისიები (სამეულები)—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონული კომიტეტის წარმომადგენლისა და სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ან სატყეო-სატრანსპორტო მეურნეობის დირექტორის შედგენილობით; სათანადო შემთხვევაში ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ უნდა იქნეს სატყეო სარეწაო კოოპერაციის წარმომადგენელი.

მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტებს—მოაწყონ ამ რესპუბლიკებსა და ოლქში სათანადო ორგანოები.

6. ადგილობრივი ორგანიზაციების დასახმარებლად წარვლინებულ იქნენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულნი ტყის დამზადების შემდეგ ძირითად რაიონებში: 1) კახეთში, 2) ბორჯომ-ახალციხის რაიონებში, 3) აფხაზეთის ავტ. სსრ-ში, 4) სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში, 5) აჭარისტანის ავტ. სსრ-ში და ოზურგეთის რაიონში, 6) ფოთისა და ხობის რაიონებში, 7) ამბროლაურისა და ქვემო-სვანეთის რაიონებში, 8) ხორაგაულისა, ჭიათურისა, ბაღდადისა და ქუთაისის რაიონებში, 9) სტალინისისა და კასპის რაიონებში და 10) ზუგდიდისა, ზემო-სვანეთისა და წალენჯიხის რაიონებში.

წინადადება მიეცეს სატყეო მრეწველობის ორგანიზაციებს—წარავლინონ ერთის თვით ტყის დამზადების რაიონებში სპეციალისტები: საქტყისტრესტმა—15 კაცი, აფხაზტყისტრესტმა—12 კაცი, ა/კ. რკ. გზ. სატყეო განყოფილებამ—6 კაცი, საქართველოს სატყეო სარეწაო კავშირმა—9 კაცი და საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველომ—3 კაცი.

წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს—გამოყონ და მიამაგრონ ტყის დამზადების ადგილებს პასუხისმგებელი მომუშავენი.

ადგილობრივმა ტყის დამმზადებელმა ორგანიზაციებმა უნდა მიამაგრონ ტყის დამზადების პუნქტებს პასუხისმგებელი თანამშრომელნი და სპეციალისტები.

7. წინადადება მიეცეს ამა დადგენილების მე-5 მუხლში აღნიშნულ სარაიონო კომისიებს (სამეულებს)—უზრუნველყონ ტყის დამმზადებელი ორგანიზაციები თავის დროზე საჭირო რაოდენობის მუშა-ძალით და საჭაპანზიდვო ტრან-

სპორტით, რისთვისაც უნდა მისცენ მტკიცე დავალებები შეძლებულ მეურნეობათ და მოაწყონ მასური ახსნა-განმარტებითი მუშაობა კოლმეურნეობა- და ინდივიდუალურ მშრომელ მეურნეთა შორის ტყის დამზადებისა და გამოტანისათვის თვითვალდების წესით.

8. წინადადება მიეცეს ზუგდიდისა, ხობისა, ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს—უზრუნველყონ ზუგდიდის ტყის სახერხი ქარხანა საჭირო რაოდენობის საჭაპანზიდვო ძალით—1933 წ. მარტის 10-დე ამ ქარხანაში ინგურიდან 400 კუბ. მეტრი მორების გადმოსატვირთად.

მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს—გაუწიონ ყოველგვარი დახმარება ზუგდიდის ტყის სახერხ ქარხანას აფხაზეთის ავტ. სსრ-ის ტერიტორიაზე საჭაპანზიდვო ძალის მოგროვებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე.

9. წინადადება მიეცეს ტყის დამმზადებელ ორგანიზაციებს—დაამყარონ წარმოებული მუშაობის საყოველდეკადო აღრიცხვის სისტემა.

მე-5 მუხლში აღნიშნულმა სარაიონო სამეულებმა სისტემატურად უნდა მოისმინონ ხოლმე ტყის დამმზადებელი ორგანიზაციების საინფორმაციო მოხსენებანი ტყის დამზადების და გამოტანის გეგმების აღსრულების მსვლელობის შესახებ და ყოველ დეკადაზე (თვითეული თვის 2,12 და 22) მიაწოდონ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ცნობები ამ გეგმების აღსრულების თაობაზე.

10. მიენდოს ტყის დამზადების რაიონებში წარვლინებულ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულთ—განაცხოველონ ადგილობრივი საექსპორტო თათბირების მუშაობა და იხმარონ ღონისძიებანი ამ თათბირების დაუყოვნებლივ ორგანიზაციისათვის, მათ შესახებ არსებული დებულების საფუძველზე, იმ რაიონებში, სადაც ეს თათბირები ჯერ კიდევ მოწყობილი არ არიან.

11. მიენდოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს სატრანსპორტო საკითხებისათვის ამხ. ხაცკევიჩს—მოაწესრიგოს საკითხი საექსპორტო ტყის ნედლეულის რკინის გზებით დაუბრკოლებელი გადაზიდვის შესახებ სატყეო მრეწველობის ორგანიზაციების განაცხადების თანახმად.

12. წინადადება მიეცეს სამომხმარებლო კოოპერაციის სადარგო შენაერთს „საქსათბობს“ და „აფვაპრობას“ უზრუნველყონ სატყეო მრეწველობის ორგანიზაციების ავტოტრანსპორტის დაუცადებელი მომარაგება ბენზინით დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

წინადადება მიეცეს „ავტორემმომარაგება“-ს—უზრუნველყოს ექსპორტზე მომუშავე სატყეო მრეწველობის საწარმოთა საავტო-საჭაპანზიდვო ტრანსპორტის პირველ რიგში მომარაგება რეზინით.

13. დაევალოს „სოიუზმუკა"-ს საქართველოს კონტორას—რეალიზებულ-ყოს ცენტრის მიერ ტყის დამზადებელი ორგანიზაციებისათვის გადაცემული მარცვლეული ფურაჟის ფონდები; აქედან დაუყოვნებლივ გამოყოს საქტყის-ტრესტისათვის 170 ტონა სიმინდი და 700 ტონა ქატო, აფხაზტყისტრესტისა-თვის—100 ტონა სიმინდი და ა/კ. რკ. გზების სატყეო განყოფილებისათვის—230 ტონა სიმინდი.

მიენდოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომი-ტეტის მდივანს სატრანსპორტო საკითხებისათვის ამხ. ხაკკევიჩს—მოაწესრი-გოს ვაგონების მიცემის საკითხი ზემოაღნიშნული მარცვლეული ფურაჟის ფონ-დების ბაქოდან წარმოგზავნისათვის და აგრეთვე საქტყისტრესტის მიერ ჩრდი-ლოეთ კავკასიაში დამზადებული თვის (2.500 ტონა) გადმოზიდვისათვის.

14. წინადადება მიეცეს სახელმწიფო ბანკის კონტორას—გაუხსნას საქ-ტყისტრესტს 1-ლი კვარტალის ლიმიტების ანგარიშში შემდეგი კრედიტები:

ა) სამომზადებლო ღონისძიებათათვის	950.000 მან.
ბ) დამზადებათათვის	317.000 „
გ) გამოზიდვისათვის	1.500.000 „
დ) სილოსისათვის	110.000 „
ს უ ლ	2.877.000 მან.

მიენდოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს აფ-ხაზეთის ავტ. სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ამხ. ინალიპას — შეუთანხმოს ორი დღის ვადაზე სახელმწიფო ბანკის კონტორას აფხაზტყის-ტრესტისათვის საჭირო კრედიტების რაოდენობა, რაც დაუყოვნებლივ გახსნილ უნდა იქნეს ა/წ. 1-ლი კვარტალის ლიმიტების ანგარიშში.

15. სატყეო მრეწველობის სფეროში მუშათა მომარაგების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, ამ დარგისათვის მომსახურეობის გამწევი სამომხმარებლო კოოპერაციის წარმოებასთან დასაახლოებლად და მისი მატერიალური და ფი-ნანსიური ბაზისის განსამტკიცებლად საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა სატყეო-სამრეწველო მეურნეობებსა და სატყეო-სატრანსპორტო მეურნეობებში მუშათა მომარაგების ორგანიზაცია დაექვემდებაროს იმ წესებს, რაც გათვალისწინებუ-ლია „მუშათა მომარაგების საქმეში ქარხნების მმართველობის უფლებათა გაფარ-თოებისა და სასურსათო ბარათების სისტემის გაუმჯობესების შესახებ" გამოცე-მული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუ-ნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. დეკემბრის 4-ის დად-გენილების მე-II კარით (სსრკ კან. კრ. 1932 წ. მე-80 № ი, მუხ. 489).

16. წინადადება მიეცეს პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის ცენტრალურ და სარაიონო ორგანოებს—სისტემატურად გააშუქონ პრესაში ტყის დამზადე-ბისა, გამოტანისა და წყლით ჩამოტივტივების საქმის მსვლელობა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ყურულაშვილი.**

1933 წ. თებერვლის 17.

ტფილისი.

87. დადგენილება ს.კ.ს.

მასწავლებლებისა და მათი ოჯახების მომარაგების თაობაზე გამოცემული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის სექტემბრის 5-ის დადგენილების საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

რათა საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე განუხრელად განხორციელდეს პარტიის და მთავრობის დირექტივები მასწავლებლების და მათი ოჯახის მომარაგების შესახებ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სამომხმარებლო ორგანიზაციათა ცენტრალურ კავშირს (ცეკავშირს)—დააწესონ სისტემატური კონტროლი, რათა განხორციელებულ იქნეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის სექტემბრის 5-ის და შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წლის ოქტომბრის 28-ის გადაწყვეტილებანი მასწავლებლების და მათი ოჯახის წევრების სურსათით და სამრეწველო საქონლით მომარაგების შესახებ.

წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სამომხმარებლო ორგანიზაციათა ცენტრალურ კავშირს (ცეკავშირს)—ერთი დეკადის ვადაზე გამოყონ სპეციალური მომუშავენი, რომელნიც პასუხისმგებელი იქნებიან მასწავლებლების და მათი ოჯახების მომარაგების შესახებ არსებული დირექტივებისა და დადგინილებების განხორციელებისათვის.

2. დადგენილ იქნეს შემდეგი წესი, რომლის მიხედვითაც მომარაგების სახალხო კომისარიატმა უნდა განახორციელოს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის სექტემბრის 5-ის გადაწყვეტილებანი მასწავლებლების და მათი ოჯახის წევრების მომარაგების შესახებ:

ა) თვითეულ კვარტალში კვარტალური და თვიური გეგმების თანახმად (რაიონების მიხედვით) გამოიყოფა სპეციალური ფონდი მასწავლებლების და მათი ოჯახის წევრების მომარაგებისათვის პურით, ბურღულით, ჩაით და შაქრით;

ბ) დაევალოს მომარაგებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოებს გამოყონ რაიონში გასაგზავნი სამრეწველო საქონლის საერთო ფონდიდან საჭირო რაოდენობის საქონელი მასწავლებლების და მათი ოჯახის წევრების მოსამარაგებლად;

გ) დაევალოს მომარაგებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოებს წარმოადგინონ ხოლმე თავისი ხაზით პერიოდული ცნობები მასწავლებლების და მათი ოჯახის წევრების მომარაგების შესახებ.

წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს—პერიოდულად წარმოუდგინოს ხოლმე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ცნობები მასწავლებლების და მათი ოჯახის წევრების მომარაგების შესახებ.

3. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს, განათლების დარგის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად, ერთი თვის ვადაზე წარმოუდგინოს მომარაგების სახალხო კომისარიატს ცნობები, რაიონების მიხედვით, მასწავლებლების და მათი ოჯახის წევრების რაოდენობის შესახებ ქალაქად და სოფლად ცალ-ცალკე; ამასთანავე მასწავლებლები მიმაგრებულ უნდა იქნენ: სოფლებში—კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე, ქალაქებში—საქარხნო-საფაბრიკო მომმარაგებელ ორგანიზაციებზე.

4. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წლის ოქტომბრის 28-ის დადგენილების თანახმად, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მომარაგების განყოფილებებს და სამომხმარებლო კოოპერაციის სარაიონო ორგანოებს, რომელნიც მასწავლებლების და მათი ოჯახის წევრების მომარაგებას სასოფლო სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით ანხორციელებენ, დაეკისროს პასუხისმგებლობა ამ მომარაგების სათანადოდ ორგანიზაციისათვის (მომარაგების ადგილობრივი ფონდების მოწყობა, ცენტრალიზებული ფონდების დანიშნულებისამებრ გამოყენება, კონტროლი ფონდების სათანადოდ ხარჯვისათვის).

5. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სამომხმარებლო ორგანიზაციათა ცენტრალურ კავშირთან (ცეკავშირთან) და განათლების დარგის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად, შეიმუშაოს ღონისძიებანი მასწავლებელთა და მოსწავლეთა დამატებითი მომარაგების (ცხელი საუზმე სკოლებში) ბაზის შესაქმნელად სკოლებთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე სამომხმარებლო კოოპერაციის სარაიონო ორგანოებისა და სახალხო განათლების ორგანოების ხაზით თვითმოქმედების საფუძველზე ბოსტნების მოწყობის საშუალებით.

6. წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—განახორციელოს მუდმივი ზედამხედველობა, რათა სათანადო ორგანოებმა განუხრელად შეასრულონ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის სექტემბრის 5-ის გადაწყვეტილებანი მასწავლებლების და მათი ოჯახის წევრების მომარაგების შესახებ, კერძოდ, დააწესოს, თავისი სარაიონო ორგანოების მეშვეობით, მუდმივი კონტროლი იმისათვის, რომ სარაიონო ორგანიზაციებმა შეასრულონ ამა დადგენილების მე-4 მუხლი, და რომ მასწავლებლებისა და მათი ოჯახის წევრების მოსამარაგებლად გამოყოფილი ფონდები გამოყენებულ იქნეს დანიშნულებისამებრ.

საქ. სსრ ს.კ-ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. თებერვლის 8.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 40 №-ში 1933 წ. თებერვლის 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

88. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის ქალაქებსა და სოფლებში 1933 წელს გამოსაღების ჩატარების შესახებ.

„ქალაქებსა და სოფლებში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის 1933 წლის გამოსაღების შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 იანვრის 29-ის დადგენილების (სსრ კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის „იზვესტია" № 29) საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ზემოაღნიშნული კანონით 1933 წლისათვის დაწესებული გამოსაღები საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის ქალაქებსა, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებსა და სოფლებში ჩატარდება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ავტონომიური ოლქითურთ, შემდეგი წესით:

I. ზოგადი დებულებანი.

1. გამოსაღებით დაიბეგრებიან:

ა) მუშა, მოსამსახურე, შინამრეწველი, ხელოსანი და სხვა მოქალაქენი, რომელთაც აქვთ შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ჩამოთვლილია ამა დადგენილების 2, 3 და 6 მუხლებში;

ბ) კოლმეურნეთა მეურნეობანი;

გ) ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობანი.

2. გამოსაღებისაგან განთავისუფლდებიან ის მუშა-მოსამსახურენი, რომელთა საშოვარიც თვეში 75 მანეთს არ აღემატება.

3. გამოსაღებისაგან განთავისუფლდება:

ა) მერიგეთა და თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახური, იმათ გარდა, რომელნიც ხანგრძლივ შვებულებაში არიან; თავმდგომთა შედგენილობის რეზერვში მყოფი სამხედრო მსახური; მუშათა და გლეხთა მილიციის და შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი და აგრეთვე გამხედროებული დაცვის სამსახურში მყოფი პირი;

ბ) ის პირი, რომელიც დაჯილდოებულია სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ორდენებით, ან საპატიო რევოლუციონური იარაღით, და აგრეთვე შრომის გმირი.

4. კოლმეურნეთა მეურნეობებს და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა მეურნეობებს, რომელთა შედგენილობაშიაც შედიან მე-3 მუხლში ჩამოთვლილი სამხედრო მსახურნი და სხვა პირნი, ენიჭებათ შემდეგი შეღავათები:

ა) გამოსაღებისაგან სრულიად განთავისუფლდება ის მეურნეობა, რომელიც 1932 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილი არ ყოფილა ან ამ გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნა;

ბ) კოლმეურნეთა დანარჩენ მეურნეობათათვის და აგრეთვე იმ ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათათვის, რომელნიც გამოსაღებით იბეგრებიან მტკიცე განაკვეთებით, მათთვის გამოანგარიშებული გამოსაღები შემცირდება 25%-ით, ხოლო უკეთუ მეურნეობაში ოჯახის სხვა შრომის უნარიანი წევრი არ არის—50%-ით.

5. გამოსაღებისაგან განთავისუფლდება შენობების მქონე მუშა-მოსამსახურე და შინამრეწველი და ხელოსანი, რომელნიც დაქირავებულ შრომას არ იყენებენ:

ა) უკეთუ მათ არა აქვთ შემოსავალი ამ შენობების გაქირავებისაგან;

ბ) უკეთუ ამ შენობების გაქირავებით მიღებული შემოსავალი, გამოანგარიშებული ამა დადგენილების 16 მუხლის წესისამებრ, არ აღემატება: ქ. ტფილისში—100 მანეთს თვეში, ქ. ბათომსა, სოხუმსა, ქუთაისსა, ფოთსა, ბორჯომსა, სიღნაღსა, თელავსა, ჭიათურასა და გაგრაში—15 მანეთს თვეში, ხოლო დანარჩენ ადგილებში—50 მანეთს თვეში.

6. გამოსაღებისაგან განთავისუფლდება:

ა) პენსიონერი, რომელსაც პენსიის გარდა, სხვა შემოსავალი არა აქვს;

ბ) მოსწავლე-სტიპენდიატი, რომლის სტიპენდიაც თვეში 175 მანეთს არ აღემატება.

7. კოლმეურნეთა ცალკეული მცირეძალოვანი მეურნეობანი და მცირეძალოვანი ინდივიდუალური შრომითი საგლეხო მეურნეობანი შეიძლება სავსებით ან ნაწილობრივ განთავისუფლებულ იქნენ გამოსაღებისაგან სასოფლო საბჭოების მიერ.

8. გამოსაღებისაგან განთავისუფლდებიან კოლმეურნეთა მეურნეობანი და შრომითი ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობანი:

ა) ზემო-სვანეთის და ქვემო-სვანეთის რაიონებისა;

ბ) ყველა სოფლებისა, რომელნიც შედიან დუშეთის რაიონის ბარისახოს, ბაცალიგოს, არხოტის და შატილის სასოფლო საბჭოების შედგენილობაში;

გ) ერწო-თიანეთის რაიონის სოფ. ხაშალისა და ბაჩალისა.

საქართველოს სსრ ის შედგენილობაში შემავალი ანტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ სრულიად გაანთავისუფლონ გამოსაღებისაგან ცალკეული სოფლების მშრომელი მოსახლეობა.

9. გამოსაღებით მიღებული თანხიდან გადაირიცხება:

ა) 100% ქალაქების არამისაწათმოქმედო მოსახლეობის გამოსაღების მიღებული თანხისა—საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში;

ბ) 100% სოფლების და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების მთელი მოსახლეობიდან და ქალაქებში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დაბეგრილ პირთაგან მიღებული გამოსაღების თანხისა—სათანადო ადგილობრივ ბიუჯეტებში.

II. მუშა-მოსამსახურეთა დაბეგვრა.

10. მუშა-მოსამსახურეებს გამოსაღები გადახდებათ 8 თვის განმავლობაში მათი იმ თვის საშოვარის მიხედვით, რომელიც წინ უძღვის გამოსაღების გადახდას, შემდეგი რაოდენობით:

| თვიური საშოვარის რაოდენობა მანეთობით | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვიური შემოსავალი მანეთობით

გადამხდელთა კატეგორიები	100 მანეთამდე	100 მან. მეტი 125 მან-მდე	125 მან. მეტი 150 მან-მდე	150 მან. მეტი 200 მან-მდე	200 მან. მეტი 250 მან-მდე	250 მან. მეტი 300 მან-მდე	300 მან. მეტი 400 მან-მდე	400 მან. მეტი-გამოსაღების რაოდენობა თვიური შემოსავალ. %-ბით
გამოსაღების რაოდენობა მანეთობით								
I. მოქალაქენი, რომელნიც იღებენ შემოსავალს: სალიტერატურო და სამეცნიერო მუშაობით, ხელოვნებით და თავიანთ ნაწარმოებზე საავტორო უფლების გამოყენებით; მოქალაქენი, რომელნიც იღებენ გასამრჯელოს თავიანთი გამონაგონისათვის, რაზედაც გაცემულია საავტორო მოწმობები, და სატექნიკო და საორგანიზაციო გაუმჯობესებისათვის .	18	26	34	48	70	90	120	30%
II. არაკოოპერირებული შინამრეწველნი და ხელოსანნი, რომელნიც მუშაობენ დაქირავებული შრომის გამოუყენებლად; მოქალაქენი, რომელნიც იღებენ შემოსავალს არადაქირავებული შრომით(1-ლი კატეგორიისათვის მიკუთვნებულთა გარდა); მოქალაქენი, რომელნიც იღებენ შენობის შემოსავალს, უკეთუ ეს მოქალაქენი, თავიანთი ძირითადი შემოსავლის მიხედვით არ ეკუთვნიან მე-III და IV კატეგორიას	27	40	52	72	105	135	180	65%
III. არაკოოპერირებული შინამრეწველნი და ხელოსანნი, რომელთაც ჰყავთ არა უმეტეს ორი დაქირავებული მუშისა	36	52	70	100	140	180	240	86%
ვაჭრობის მწარმოებელი პირნი, არაკოოპერირებული შინამრეწველნი და ხელოსანნი, რომელთაც ჰყავთ ორზე მეტი დაქირავებული მუშა; რელიგიური კულტის მსახურნი; სხვა პირნი, რომელთაც აქვთ არაშრომითი შემოსავალი	110	160	210	300	420	540	720	266%

16. შენობის ფლობის საშუალო თვიური შემოსავალი განისაზღვრება:

ა) მუშა-მოსამსახურეთათვის და იმ შინამრეწველთა და ხელოსანთათვის, რომელნიც დაქირავებულ შრომას არ იყენებენ—ფაქტიურად მიღებული შემოსავლის რაოდენობით, ხოლო არა ნაკლებ შენობის სადაზღვეო შეფასების 1%-ისა;

ბ) დანარჩენი კატეგორიების გადამხდელთათვის ფაქტიურად მიღებული შემოსავლის რაოდენობით, ხოლო არა ნაკლებ შენობის სადაზღვეო შეფასების 3%-ისა.

მე-III და IV კატეგორიების გადამხდელთა გამოსაღების გამოანგარიშების დროს ეს შემოსავალი შეერთებულ უნდა იქნეს გადამხდელთა ძირითად შემოსავალთან.

17. იმ პირთ, რომელნიც თავიანთი შემოსავლის წყაროების მიხედვით, ეკუთვნიან ორ და მეტ კატეგორიას, გამოსაღები გადაჰხდებათ თვითეული ამ კატეგორიის კვალობაზე.

18. გამოსაღები გადახდილ უნდა იქნეს:

ა) I-ლი და II კატეგორიების გადამხდელთა მიერ—თანაბარ ნაწილებად სამ ვადაზე: 1933 წლის თებერვლის 15-თვის, აპრილის 15-თვის და მაისის 15-თვის;

ბ) მე-III და IV კატეგორიების გადამხდელთა მიერ—თანაბარ ნაწილებად ორ ვადაზე: 1933 წ. თებერვლის 15-თვის და მარტის 15-თვის.

IV. კოლმეურნეთა მეურნეობებისა და ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობების დაბეგვრა

19. კოლმეურნეთა მეურნეობანი და ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობანი გამოსაღებს იხდიან შემდეგი რაოდენობით:

(იხილე ცხრილი 173 გვერდზე)

გამოსაღებს ყველგან იხდიან:

ა) იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომელთაც არა აქვთ არაგანსაზოგადოებული შემოსავალი,—5 მან. რაოდენობით;

ბ) იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომელთაც აქვთ არაგანსაზოგადოებული შემოსავალი და 1932 წელს განთავისუფლებულ არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან,—10 მან. რაოდენობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში და რაიონებში	იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომელნიც 1932 წელს სას.-სამ. გადასახადით დაბეგრილ იყვნენ მტკიცე განაკვეთების კვალობაზე	იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომელნიც 1932 წ. სას.-სამ. გადასახადით დაბეგრილ იყვნენ პროგრესიული განაკვეთების კვალობაზე	შრომითი საგლეხო მეურნეობანი, რომელნიც 1932 წელს სას.-სამ. გადასახადით დაბეგრილ იყვნენ მტკიცე განაკვეთების კვალობაზე	შრომითი საგლეხო მეურნეობანი, რომელნიც 1932 წ. სას.-სამ. გადასახადით დაბეგრილ იყვნენ პროგრესიული განაკვეთების კვალობაზე
1. აფხაზეთის ავტ. სსრ, აჭარისტანის ავტ. სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	15-დან 35 მანეთამდე.	15-დან 60 მანეთამდე.	15-დან 60 მანეთამდე.	1932 წ. სას.-სამ. გადასახადის განაკვეთის 75%-დან 200%-დე, ხოლო არა ნაკლებ იმ განაკვეთისა, რაც უწყებულ რაიონში დადგენილია სას.-სამ. გადასახადის პროგრესიული განაკვეთებით დაბეგრილ კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის.
2. წალკის, ერწო-თიანეთის, ხევის, დუშეთის, ადიგენის, ტოლოშის და ოკრიბის .	15	25	25	სას.-სამ. გადასახადის განაკვეთის 75%, ხოლო არა ნაკლებ 25 მანეთისა.
3. ყარაიას, ბორჩალოს, მცხეთის, ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ხორაგაულის, ჭიათურის, ამბროლაურის, ონის, ჩხარის, ცაგერის, სენაკის, მარტვილის, აბაშის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის და ფოთის	15	25	25	1932 წ. სას.-სამ. გადასახადის განაკვეთის 100%, ხოლო არა ნაკლებ 25 მანეთისა
4. გარე-კახეთის, აღბულახ-მანგლისის, ბაშკიჩეთის, კასპის, გორის სტალინისის, ქუთაისის, ბაღდადის, ვანის, ხონის, ზუგდიდის და ხობის.	20	30	30	1932 წ. სას.-სამ. გადასახადის განაკვეთის 130%, ხოლო არა ნაკლებ 30 მანეთისა
5. ტფილისის, ლუქსემბურგის, თელავის, ლაგოდეხის, ზესტაფონის და სამტრედიის	20	30	30	1932 წ. სას.-სამ. გადასახადის განაკვეთის 165%, ხოლო არა ნაკლებ 30 მანეთისა
6. სიღნაღის, გურჯაანის და ყვარელის	20	30	30	1932 წ. სას.-სამ. გადასახადის განაკვეთის 200%, ხოლო არა ნაკლებ 30 მანეთისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შრომითი ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობანი, რომელნიც 1932 წელს განთავისუფლებულ არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან 15 მან. რაოდენობით;

დ) კულაკური მეურნეობანი—1932 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 200%-ის რაოდენობით.

შენიშვნა. საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, ზემოაღნიშნული განაკვეთების ფარგლებში, აწესებენ ცალკეული რაიონობით საბოლოო განაკვეთებს 1933 წელს სასოფლო სამეურნეო გადასახადის მტკიცე განაკვეთებით და პროგრესიული განაკვეთებით დაბეგრილ კოლმეურნეთა მეურნეობებისა და ინდივიდუალური შრომითი საგლეხო მეურნეობებისათვის.

20. ცალკეულ შემთხვევაში სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ დააწესონ ცალკეული სოფლებისათვის გამოსაღების სხვადასხვა განაკვეთი.

21. ნათესი ფონდების ბოროტეულად შემცირებასთან ბრძოლის მიზნით გამოსაღები იმ ინდივიდუალური მეურნეობებისათვის, რომელთაც 1932 წელს არაპატივსადები მიზეზით არ დათესეს ან შეამცირეს თავიანთი ნათესი ფართობი, გამოიანგარიშება 1931 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრად სათვალავში მიღებული ფართობის კვალობაზე.

22. კოლმეურნეთა მეურნეობანი და ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობანი გამოსაღებს იხდიან შემდეგ ვადებზე:

ა) კოლმეურნეთა მეურნეობანი:

1933 წლის მარტის 1-თვის—გამოსაღების განაკვეთის 50%-ს;
1933 „ აპრილის 1-თვის „ „ 50%-ს;

ბ) ინდივიდუალური შრომითი საგლეხო მეურნეობანი:

1933 წლის მარტის 1-თვის—გამოსაღების განაკვეთის 50%-ს;
1933 „ მარტის 20-თვის „ „ 50%-ს;

გ) კულაკური მეურნეობანი:

1933 წლის თებერვლის 15-თვის—გამოსაღების განაკვეთის 100%-ს.

23. ინსტრუქციას ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. თებერვლის 9.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 36 №-ში 1933 წ. თებერვლის 12.

89. დადგენილება ც.ა.კ.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, ქ. ტფილისში არსებული, საჩვენებელი სამკურნალო-საშრომო დისპანსერის საწარმოთა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

„ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების“ 28 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ. 697) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

განთავისუფლებულ იქნეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, ქ. ტფილისში არსებული საჩვენებელი სამკურნალო-საშრომო დისპანსერის საწარმონი ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. თებერვლის 5.
ტფილისი.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

90. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

კულტურული მშენებლობის საბჭოების დებულების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის აპრილის 29-ის დადგენილებით დამტკიცებული „კულტურული მშენებლობის საბჭოების დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-14 №-ი, მუხ. 164) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„საბჭოებში თავმჯდომარეობენ: რესპუბლიკანურში—თავმჯდომარე, რომელიც გამოყოფილ იქნება საბჭოს პირადი შემადგენილობის დამტკიცების დროს, სარაიონოსა და საქალაქოში—სახალხო განათლების განყოფილების გამგე ან სახალხო განათლების ინსპექტორი და სოფლისაში—სასოფლო საბჭოს კულტრწმუნებული“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. თებერვლის 5.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის დაცვა

91. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სამალარიო კომიტეტის მოხსენების გამო—მალარიასთან ბრძოლის საქმის მდგომარეობის შესახებ.

მოისმინა-რა ცენტრალური სამალარიო კომიტეტის მოხსენება მალარიასთან ბრძოლის საქმის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს მთელ რიგ მიღწევებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ თვალსაჩინოდ იზრდება მალარიის საწინააღმდეგო სპეციალურ დაწესებულებათა ქსელი, უმჯობესდება მუშაობის თვისება, თვალსაჩინოდ ძლიერდება პროფილაქტიკური მუშაობა, ხორციელდება კლასობრივი პრინციპი გამაჯანსაღებელ სამუშაოთა გატარების დროს და სხვა მისთ., ხოლო ამასთან ერთად აღსანიშნავია აგრეთვე მთელი რიგი დეფექტები ამ საქმის დაყენებაში, სახელდობრ: ა) საკმარისად არ არის პაპულარიზებული მალარიასთან ბრძოლის მნიშვნელობა მშრომელთა შორის (კოლმეურნეებსა, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის), და საკმარისად ჩაბმულნი არ არიან ისინი ამ ბრძოლაში; ბ) სრულიად უგულვებლად ეპყრობიან საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო და წყალსამეურნეო და სამშენებლო სამუშაოთა მწარმოებელი სამეურნეო ორგანოები („კოლხიდმშენი", საქ. მებამბ. კ-ტი, ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებელი სამმართველო, „ა/კ. რკინგზამშენი" და სხვ.) სასანიტარო მელიორაციის მოთხოვნებს, რის გამოც ხელოვნურად იქმნება მალარიის ბუდეები; გ) საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს, საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა, კომუნალური მეურნეობებისა და სხვა საწარმოთა გეგმებში არ არის გათვალისწინებული სასანიტარო მელიორაციის ღონისძიებანი (დაჭაობებული ადგილების დაშრობა, მდინარეთა დენის მოწესრიგება, წყალსაქცევი სისტემის მოწყობა, სარწყავი სისტემის დაცვა და სხვა მისთ.); დ) უგულვებლად ეპყრობიან კომუნალური მეურნეობანი და სხვა სამეურნეო ორგანოები ადგილების არამელიორატიული ხასიათის ღონისძიებებით გაჯანსაღების საჭიროებას (პარიზული სიმწვანის შეფრქვევა, დანავთიანება, გამბუზიის მოშენება და სხვა მისთ.) და აგრეთვე, საერთოდ, მალარიის საწინააღმდეგო სანმინიმუმის განხორციელებას, კერძოდ—კოლოსაგან მუშების მექანიკური დაცვის საქმეს (მობადვა, პოლოგიზაცია და სხვ.); ე) მოწესრიგებული არ არის დაკომპლექტება (მომუშავეთა შედგენილობის ცვალებადობა, სამუშაოზე მალარიით დაავადებულთა მიღება და სხვ.) და არადამაკმაყოფილებელია საბჭოთა მეურნეობებში და საშენებლებზე მუშებისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაწევა; ვ) საკმარისად არ არის გაშლილი ბრძოლა მალარიასთან სამედიცინო ხაზით—

კვალიფიცირებული კადრების დიდი დეფიციტისა და მათი არასაკმარისად მომარაგების გამო, მიუხედავად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 11-ის დადგენილებისა „მალარიასთან ბრძოლის 1931 წ. ...ბული საკონტროლო ციფრების შესახებ“, რომელი დადგენილებითაც გათვალისწინებულია სამრეწველო რაიონებში და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და მშენელობის მნიშვნელოვან ნაწილში მოსაქმე სამედიცინო მოძუშავეების სამრეწველო მუშებთან გათანაბრება მომარაგების მხრით; აგრეთვე ნივთიერად სრულიად უზრუნველყოფილ არ არიან ბონიფიკატორები, რომელთაც მალარიასთან ბრძოლის საქმეში დიდი როლი ეკუთვნით; არ მოიპოვება საკმაო რაოდენობის ქინაქინა და საკმარისი ასიგნები არ არის გადადებული მალარიის საქმისათვის.

ამის გამო, რათა სრულიად ლიკვიდირებულ იქნეს შეუფასებლობა მალარიასთან ბრძოლის საქმისა, რაც უაღრესი მნიშვნელობის სახალხო-სამეურნეო პრობლემაა ახალი მიწის ფართობების სამეურნეო გამოსაყენებლად განვითარების გზით მიმდინარე მრეწველობისათვის, უმთავრესად, მალარიან ადგილებში, და რათა, ამასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება მეტი მოსახლეობა მოგროვდეს ამ ადგილებში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ცენტრალურ სამალარიო კომიტეტს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმს, მიწათმოქმედებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს—შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რაც მიმართულ იქნება მალარიასთან ბრძოლის მნიშვნელობის პოპულარიზაციისათვის და ამ ბრძოლაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისათვის.

2. დაევალოს განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს—შეიმუშაონ სასწრაფოდ საკითხი მიმდინარე სასწავლო წლიდან სოციალური აღზრდის სკოლებში და ტექნიკუმებში და მუშათა ფაკულტეტებზე ტროპიკული მედიცინის საფუძვლების სწავლების შესახებ.

3. წინადადება მიეცეს წყალსამეურნეო და სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელ ყველა დაწესებულებას და ორგანიზაციას, მათ ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით, შეიტანონ ხოლმე თავისდროულად სათანადო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვებში მოსალოდნელი ხელოვნურად დაჭაობების სალიკვიდაციოდ (წყალსაქცევი სისტემები, ნაპირების შემობექურება, თხრილების ამოვსება და სხვა მისთ.) საჭირო თანხები, ხოლო მათი საქმიანობით უკვე გამოწვეული დაჭაობების ლიკვიდაციას ეს დაწესებულებები და ორგანიზაციები უნდა შეუდგნენ სასწრაფოდ და მოსპონ დაჭაობება 3 კილომეტრის მანძილზე დასახლებულ პუნქტებამდე და სამუშაოების ადგილებამდე.

უკეთუ, რაიმე მიზეზების გამო, შეუძლებელია უახლოეს ვადაზე დაჭაობების ლიკვიდაცია აღნიშნული ოდენობით სათანადო სამეურნეო ორგანოების ხარჯზე, ჩატარებულ უნდა იქნეს უწყებული ადგილის გამაჯანსაღებელი სამუშაოები (შეფრქვევა, დანავთიანება, გამბუზიის მოშენება და სხვა მისთ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადება მიეცეს ცენტრალურ სამალარიო კომიტეტს—თვალყური ადევნოს ამის განხორციელებას და გამოსცეს ამა მუხლის განსავითარებლად საჭიროანადო ინსტრუქცია.

4. წინადადება მიეცეს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, და განახორციელოს უმოკლეს ვადაზე ქალაქების გაჯანსაღების ღონისძიებანი (დაშრობა, რეგულირება, შემობექურება, კოლოს ჭუპრებისა და ფრთაშესხმულ კოლოების გაწყვეტა) პირველ ყოვლისა ტფილისში, სამტრედიაში, ფოთში, ოზურგეთში, სენაკში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, ბორჯომში, ზესტაფონში, ხონში და გურჯაანში.

5. დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—გაშალოს მუშაობა კოლექტიური მეურნეობების ფართო გაჯანსაღებისათვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობის ქვეშ მასური პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებით.

6. ყველა დიდ საბჭოთა მეურნეობაში, უაღრესი მნიშვნელობის მქონე საშენებელზე და საწარმოში, სადაც გამაჯანსაღებელი ღონისძიებებით მიულწეველი იქნება კოლოიანობის ლიკვიდაცია, ჩატარებულ იქნეს აგრეთვე მუშების მექანიკური დაცვა მალარიული კოლოს კბენისაგან (მობადეა, პოლოგიზაცია და სხვ.).

7. ყველა კურორტის გაჯანსაღების მიზნით წინადადება მიეცეს მთავარ საკურორტო სამმართველოს—შეიმუშაოს და წარმოუდგინოს ორი თვის ვადაზე სახალხო კომისართა საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინასწარი დასკვნით, საქართველოს კურორტების გაჯანსაღების გეგმა, სამუშაოთა ობიექტების ჩამოთვლით და როგორც კაპიტალურ დაბანდებათა, ისე სხვა ხარჯების განაწილებით (განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წყალტუბოს და ანაკლიას).

8. სასანიტარო მელიორაციის სხვა ორგანოების ხაზით, რაც ამა დადგენილებაში ჩამოთვლილი არ არის, წინადადება მიეცეს ცენტრალურ სამალარიო კომიტეტს და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—შეიმუშაონ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან ერთად, მალარიის სალიკვიდაციოდ საჭირო სამუშაოთა სქემატური გეგმა, საპირველრიგო სამუშაოთა გამოყოფით, და წარმოუდგინონ სახალხო კომისართა საბჭოს.

9. წინადადება მიეცეს ცენტრალურ სამალარიო კომიტეტს და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—ცალკე შეისწავლონ საკითხი ცხენის წყალის ქვემო ნაწილის ბასეინის მალარიანობისა (დაჭაობებული ტერიტორია, მოსახლეობის დაავადება მალარიით, რაიონის სქემატური გეგმა და სხვა მისთ.) და მალარიის ლიკვიდაციის პერსპექტივების შესახებ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ პროექტირებულ ცხენის წყალის დენის რეგულირებასთან დაკავშირებით. სათანადო მოხსენება განხილულ იქნეს სახალხო კომისართა საბჭოში არა უგვიანეს 1933 წ. მარტის 1-ისა.

10. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების კომიტეტს, მთავარ საკურორტო სამმართველოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (საქართველოს სსრ მთავრობასთან), მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (საქართველოს სსრ მთავრობასთან), „საქართველოს ჩაის“ სრულიად საკავშირო ტრესტს და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომუშავე სხვა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო ორგანიზაციებს—გამოყონ 1933 წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებში და შემდგომ საპერსპექტივო და ოპერატიულ გეგმებსა და საკონიუნქტურო მიმოხილვებში მალარიასთან საბრძოლველად საჭირო ღონისძიებანი და სათანადო თანხები დაზუსტებულ საკონტროლო ციფრებად, რაც თავის დროულად აცნობონ ცენტრალურ სამალარიო კომიტეტს.

მალარიასთან ბრძოლის საქმეში უფრო მეტი გეგმიანობის შეტანის მიზნით წინადადება მიეცეს სახელმწიფო საგეგმო კომისიას—გამოყოს ჯანმრთელობის დაცვის გეგმიდან მალარიასთან ბრძოლის გეგმა, როგორც დამოუკიდებელი საკომპლექსო პრობლემა, რაც მიმართული იქნება შრომადღეების დანაკლისის შემცირებისა და შრომის ხაყოფიერების გადიდებისათვის, და გეგმის აღსრულების მაჩვენებლები მოათავსოს ხოლმე საკონიუნქტურო მიმოხილვებში.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და შრომის სახალხო კომისარიატს, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, აღნიშნონ კონკრეტული ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობებისა, საწარმოთა და საშენებელთა მუშებით დაკომპლექტების წესისა და მათ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაუმჯობესებისათვის და სათანადო დადგენილების პროექტი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

12. მალარიან ადგილას მდებარე საბჭოთა მეურნეობებსა, საწარმოებსა, საშენებლებსა და დიდ კოლექტიურ მეურნეობებში სპეციალურ სამალარიო დაწესებულებათა ქსელის ნორმალური გაშლის მიზნით წინადადება მიეცეს სამეურნეო ორგანიზაციებს—უზრუნველყონ ეს დაწესებულებანი და მათი მომსახურე პერსონალი საჭირო სადგომებით, ბინებით, მაგარი ინვენტარით და ტრანსპორტით სასამსახურო მიმოსვლისათვის (საბონიფიკაციო სამუშაოების ჩატარება, გამოკვლევა, ავადმყოფთა ნახვა და სხვ.) და აგრეთვე ტექნიკური პერსონალით (უმთავრესად ბონიფიკატორებით).

13. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მისცეს მალარიან ადგილას მდებარე კოლექტიურ მეურნეობებს დირექტივები—გამოყონ სამალარიო დაწესებულებების განკარგულებაში, კოლექტიური მეურნეობებისათვის მომსამსახურეობის გასაწევად, კოლმეურნენი ბონიფიკატორებად, და ეს მუშაობა ჩაუთვალონ მათ შრომა-დღეებში, და აგრეთვე მოსაწილეობა მიიღონ

მალარიასთან ბრძოლისათვის საჭირო ხარჯებში კოლმეურნეთა გაჯანსაღების მიზნით (სადგომებისა და ინვენტარის მიცემა, პარიზული სიმწვანის და ნავთის შეძენა და სხვა მისთ.).

ამა მუხლის განსავითარებლად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, უნდა გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია.

14. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, დაამუშაოს ერთი დეკადის ვადაზე საკითხი არაგანსაზოგადოებული სექტორის მომსახურეობისათვის ბონიფიკატორების გაწვევის წესისა და ამით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად საჭირო სახსრის შესახებ.

15. წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს—შეასრულოს მე-15 მუხლი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 11-ის დადგენილებისა „მალარიასთან ბრძოლის 1931 წ. დაზუსტებული საკონტროლო ციფრების შესახებ“, სახელდობრ, სამრეწველო რაიონებსა და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის მნიშვნელოვან ნაწილში მოსაქმე სამედიცინო მომუშავეების მომარაგების მხრით ინდუსტრიალურ მუშებთან გათანაბრების თაობაზე; ამასთანავე, ამ მომუშავეებთან გათანაბრებულ უნდა იქნენ ამ რაიონების ბონიფიკატორები, და გამოიყოს საამისოდ საჭირო ფონდი.

16. დაწესებულ იქნეს პერსონალური პასუხისმგებლობა საწარმოს დირექტორის ერთ-ერთი მოადგილისა და კოლექტიური მეურნეობის გამგეობის ერთ-ერთი წევრისა მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარებისათვის (მცირე დაჭაობების დაშრობა, ფრქვევა, მომაზუთება, კოლოსაგან მექანიკური დაცვა და სხვა მისთ.) და საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სხვა საწარმოთა საპერსპექტივო და ოპერატიულ გეგმებში სათანადო მაჩვენებლების მოთავსებისათვის.

17. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—უზრუნველყონ მალარიასთან ბრძოლისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული სახსრის ხარჯვა პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

18. დაევალოს მომმარაგებელ ორგანიზაციებს (მომარაგების სახალხო კომისარიატი, ცეკავშირი, მავნებლებთან ბრძოლის შენაერთი და სხვ.)—თავიანთი განაცხადების შედგენისა და მომარაგების საგნების განაწილების დროს ანგარიშში მიიღონ ჯანმრთელობის ორგანოების განაცხადები მალარიის საწინააღმდეგო საშუალებათა თაობაზე (ლითონის ბადეები, ნავთი, პარიზის სიმწვანე და სხვ.).

19. რადგანაც მშრომელთა სამკურნალო და პროფილაქტიკურ ქინიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, აღიძრას ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა, რათა 1933 წელს საქართველო უზრუნველყოფილ იქნეს 12.000 კილოგრამი ქინაქინით.

20. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლებისა და სამედიცინო ტექნიკუმების კურსდამთავრებულთა განაწილების დროს მაქსიმალურად მიიღოს ანგარიშში მალარიასთან ბრძოლის საქმის ინტერესები.

21. ბონიფიკატორების მომზადებისა და გარდამზადების მიზნით, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მალარიასთან ბრძოლის პროფილაქტიკური მეთოდების ორგანიზაციისათვის, წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—მოაწყოს მათთვის ტროპიკულ სადგურებთან მოკლევადიანი კურსები, რამდენადაც შეიძლება, ისე, რომ აღნიშნული პირნი არ მოსწყდნენ წარმოებას.

22. წინადადება მიეცეს ცენტრალურ სამალარიო კომიტეტს და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—მოაწყონ მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა ეფექტიობის აღრიცხვა ისეთი ვარაუდით, რომ 1933 წლის ბოლოს მოცემულ იქნეს სურათი ყველა მიღებული ღონისძიების ეფექტიობისა.

23. წინადადება მიეცეს ცენტრალურ სამალარიო კომიტეტს—განაცხოველოს მუშაობა და ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვეული იქნება კომიტეტის დადგენილებანი, აღძრას სათანადო საკითხი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე.

24. წინადადება მიეცეს ცენტრალურ სამალარიო კომიტეტს—წარმოუდგინოს ერთი დეკადის ვადაზე აღსრულების შემმოწმებელ კომისიას მოხსენება მალარიასთან ბრძოლის სფეროში გამოცემული უმაღლესი ორგანოების დადგენილებებისა და დირექტივების დარღვევის ყველა კონკრეტული შემთხვევის შესახებ.

25. ეთხოვოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დააჩქაროს „მალარიასთან ბრძოლის დებულების“ განხილვა და გამოქვეყნება.

26. წინადადება მიეცეს „საქართველოს ჩაის“ სრულიად საკავშირო ტრესტს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და საქართველოს მებამბეობის კომიტეტს—დაუყოვნებლივ დაფარონ თავიანთი დავალიანება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისადმი მასთან მალარიის საწინააღმდეგო ბრძოლის სფეროში დადებული ხელშეკრულებების მიხედვით.

27. მიენდოს აფხაზეთისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ ამა დადგენილებიდან გამომდინარე ღონისძიებათა განხორციელება აღნიშნული რესპუბლიკების ტერიტორიაზე, კერძოდ, ბათომსა, სოხუმსა, ქობულეთსა, ოჩემჩირისა და გაგრას მიმართ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. იანვრის 21.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართალი

92. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლისათვის მე-3 ნაწილის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლს დაემატოს მესამე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ახირებით უარის თქმა იმ მიწის სასოფლო-სამეურნეო დამუშავებაზე და დათესვაზე, რაც მიჩენილია ინდივიდუალური სარგებლობისათვის, უკეთუ ეს ქმედობა არ შეიცავს ამა მუხლის წინა ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, გამოიწვევს.

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე, სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწების (საკარმიდამო, ნორმისა და სამოსახლო ნაკვეთზე მდებარე მიწები) ჩამორთმევით ან უამისოდ და ცალკეულ შემთხვევაში ნაკლებად ნაყოფიერ ადგილას განდევნით“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1933 წ. თებერვლის 20.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ „კომუნისტის“ 43 №-ში 1933 წ. თებერვლის 21.

---

93. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. ი. ა. იაკოვლევის მოხსენების გამო „კოლექტიური მეურნეობების განმტკიცების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წ. იანვრის 30-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ ცენ. აღმას. კ—ტის „იზვესტია-“ს 30 №-ი), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს სასამართლო ორგანოებს:

ა) შეუფარდონ ხოლმე იმ პირთ, რომელნიც მხილებულ იქნებიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების საბოტაჟში, თესლის ქურდობაში, თესვის ნორმე-

ბის მავნებლურ შემცირებაში, ხვნისა და თესვის საქმეზე მავნებლურ მუშაობაში, რაც მიმართულია მინდვრების წახდენისა და მოსავლის შემცირებისათვის, ტრაქტორების და მანქანების განზრახ დამტვრევაში და მუშა-საქონლის გაწყვეტაში, როგორც საკოლმეურნეო საკუთრების გამტაცებელთ—სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილება „სახელმწიფო საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივ (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 62 №-ი, მუხ. 360);

ბ) შეუფარდონ იგივე, 1932 წ. აგვისტოს 7-ის, კანონი იმ პირთ, რომელნიც მხილებულ იქნებიან მოსატყუებელ მოქმედებაში საკოლმეურნეო პროდუქციისა, საკოლმეურნეო შრომისა და საკოლმეურნეო მოსავლის აღრიცხვის საქმეში (როგორც საკოლმეურნეო ქონების გატაცების ცდას);

გ) შეუფარდონ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის მე-3 ნაწილი (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის თებერვლის 20-ის რედაქციით) ინდივიდუალურ მეურნე-გლეხებს, რომელნიც აჰყვნენ სპეკულაციას და ახირებით უარს ამბობენ დაამუშაონ და დათესონ მათ ხელთქონებული მიწები.

2. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს—მისცეს სამი დღის ვადაზე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, თავის ქვემდებარე ორგანოებს სათანადო დირექტივები ამა დადგენილების შეფარდების წესის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. თებერვლის 20

ტფილისი.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა ტფილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეცდომის გასწორება

სისხლის სამართლის კოდექსის 1933 წლის ქართულ გამოცემაში შეცდომით გამოტოვებულია საკოდიფიკაციო ცნობები:

65 გვერდზე, 196² მუხლის შენიშვნის შემდეგ უნდა იყოს:

[1932 წ. იანვრის 20 (კან. კრ. 1932 წ. № 3, მუხ. 28)].

76 გვერდზე, სამხედრო დანაშაულთა დებულების 21 მუხლის შემდეგ უნდა იყოს:

[1929 წ. სექტემბრის 28 (კან. კრ. 1929 წ. № 21, მუხ. 232); 1930 წ. აპრილის 6; კ. II (კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 122)].

ფასი 40 კაპ.

მთავლიტი № 270. საქ. სახკომსაბოს სტამბა. შეკვ. № 538. ტირაჟი 1.500.